პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი, ოთხშაბათი, 25 აპრილი, № 97 (17442) ☐ ფასი 2 კაპ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-32"

დედამიწის ფოტოგრაფირება

ფრუნზის მართვის ცენტრი, 23 აპრილი. (საკდესი). რვა კვირაა „სალუტ-6" — „სოიუზ-32" კომპლექსში მუშაობენ კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი. დღევანდელი დღე მეტწილად გეოფიზიკურ ექსპერიმენტებს დაეთმო.

დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის შესაბამისად ეკიპაჟი ეწევა დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონებისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ვიზუალურ დაკვირვებებს და ფოტოგრაფირებას. გადაღება წარმოებს „მკფ-6მ" მრავალზონალური კოსმოსური ფოტოაპარატითა და „კატე-140" ფოტოაპარატით.

გუშინ დანადგარ „კრისტალზე" შესრულდა მორიგი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი კოსმიურ მასალათმცოდნეობაში.

სამედიცინო შემოწმების შედეგების მიხედვით, ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ. მეთაურის მაღისცემის სიხშირე წუთში 56-ია, ბორტინჟინრისა — 57, არტერიული წნევის სიდიდე შესაბამისად — ვერცხლისწყლის სვეტის 135X60 და 120X60 მილიმეტრი.

„სალუტ-6"—„სოიუზ-32" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კვლევა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გრძელდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

[illegible] 24 აპრილს სხდომა გამართეს — კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომელიც სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა.

სხდომის გახსნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა სსრ კავშირის მთავრობის წევრებს მიულოცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცება და გამოთქვა წინა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მთელი თავისი საქმიანობით გაამართლებს პარტიისა და მთავრობის მაღალ ნდობას.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1979 წლის I კვარტალის შედეგები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში შემდგომი წარმატებანია მიღწეული, რაც იმის შედეგია, რომ ხორციელდება ლონისძიებანი, პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ამ პლენუმსა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, და შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კიდევ უფრო ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი. (საკდესი).

უხვი მოსავლით გავახაროთ სამშობლო

სოხუმი, 24 აპრილი. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთის დედაქალაქში თავიანთ ტრადიციულ შეკრებაზე მოვიდნენ რესპუბლიკის მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები. საზეიმოდ მორთული მეგობრობისა და ძმობის ქალაქი მხურვალედ შეხვდა მიწათმოქმედებს, ფაბრიკების მუშებს, ყველას, ვინც ალალი ზრომით სახელს უთქვამს ქართულ ჩაის.

შეკრების მონაწილენი სოხუმში ჩამოსვლის დღეს მივიდნენ მის მთავარ მოედანზე — ლენინის სახელობის მოედანზე. აქ მათ გვირგვინებით შეამკეს დიდი ბელადის ძეგლი და თითქოს ილიჩს უპატაკეს თავიანთი შრომითი კოლექტივების წარმატებანი მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში. გულთბილი, გულითადი საუბრები გაიმართა ამ დღეს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს", სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის, ქიმიური ქარხნის, საგალანტერიო ფაბრიკის, აფხაზეთის ღვინის კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკის მუშებთან.

შეკრების მონაწილენი აღფრთოვანებით მიიღეს სოხუმელმა სტუდენტებმა. ხალხმრავალი შეხვედრა გაიმართა საქართველოს სუტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

მეჩაიეთა ტრადიციული შეკრების მონაწილეებმა საფუძველი ჩაუყარეს მეგობრობის ხეივანს.

...აფხაზეთის ს. ი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. აქ დილიდანვე მუშაობას იწყებს რესპუბლიკური შეკრება. წითლად ელვარებს ლოზუნგები, რომლებზეც წარწერილია მისალმებანი მინდვრებისა და პლანტაციების, ფაბრიკების, ტრანსპორტის ნოვატორებისადმი — ხუთწლედის დიდი ჩაისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზის მებრძოლებისადმი. შეკრებაზე მოწვეული არიან საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები და სოფლის მეურნეობის მინისტრები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, ქალაქებისა და რაიონების სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების, სახსოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებათა უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, ჩაის ფაბრიკების გაერთიანებების დირექტორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, რაიონული საგრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები. აქვე არიან მეჩაიეები, წარმოების მოწინავენი, სოციალისტური შეჯიბრების ვიტერანები. პირველი ხუთწლედების გმირები, მუშა ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეკრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების ბიუროების წევრები.

შესავალი სიტყვით შეკრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

დარბაზი მეუხარე ტაშით ხვდება წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრების დღის წესრიგშია ერთი საკითხი — „1978 წლის მუშაობის შედეგები და მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა 1979 წლის ამოცანები".

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

შეკრების მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის შ. მ. ეცადაშვილისა და რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრის რ. ჰ. კობცელიძის მოხსენებანი.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. უნგიაძემ, პარტიის ლენინურ-ბოლშევიკური ორგანიზაციის ბიუროს წევრმა, ბაკურიანის ტურისტული ბაზის ბაზის ბ. ბ. ბ.

„სოიუზ-33“ ხომალდის ეკიპაჟი მოსკოვში

28 აპრილს ბაიკონურის კოსმოდრომიდან ვარსკვლავიანი ქალაქში დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკიპაჟის წევრები, რომლებმაც „სოიუზ-33“ ხომალდით იფრინეს კოსმოსში. აეროდრომზე ნ. რუკავიშნიკოვს და გ. ივანოვს დახვდნენ მეცნიერები, კონსტრუქტორები, კოსმონავტები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს წარმომადგენლები.

ტრადიციისამებრ, კოსმონავტთა მზადების ცენტრის „კულტურის სახლში მიტინგი გაიმართა.

(საკ.ინფორმ.)

ვინც ჩამორჩა

სახელმწიფო გეგმა ყველასათვის სავალდებულო კანონია

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტთა დამზადების გეგმა, თითქმის ყოველა მესაე მეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა, ყოველა მეორემ — რძისა და კვერცხის მიყიდვისა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაზრდის ღონისძიებათა შემუშავებას, სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა იმ მეურნეობათა შესახებ, რომლებიც წლითი წლობით ვერ ასრულებენ ხორცის, რძის, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დადგენილ გეგმებს. კრებაზე აღინიშნა, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობათა უგერგილობის გამო ქალაქების, კურორტებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს აკლდებათ მნიშვნელოვანი რაოდენობის კვების პროდუქტები.

ცხრილი, რომელიც დღეს ქვეყნდება, გვიჩვენებს, თუ რამდენმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სამეურნეო-ბათშორისო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის გეგმა.

მეურნეობების დაჯგუფება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1979 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მიხედვით.

რაიონები, ქალაქები, ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი	პირუტყვი, ფრინველი: მეურნეობების რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა	პირუტყვი, ფრინველი: მეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა პროცენტით	რძე: მეურნეობების რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა	რძე: მეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა პროცენტით	კვერცხი: მეურნეობების რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა	კვერცხი: მეურნეობების ხვედრითი წონა, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმა პროცენტით
ახალქალაქის	4	14	4	15	—	—
ბოგდანოვკის	6	24	10	40	—	—
ახალციხის	6	50	8	73	2	100
ადიგენის	1	14	3	43	—	—
ასპინძის	4	20	11	58	—	—
ხაშურის	1	25	3	38	—	—
ქარელის	12	57	9	64	2	67
გორის	12	41	21	75	—	—
კასპის	2	13	4	27	—	—
ბორჯომის	5	31	9	64	—	—
საგარეჯოს	3	16	8	57	2	100
გურჯაანის	4	22	13	76	8	62
სიღნაღის	11	61	13	93	—	—
წითელწყაროს	4	29	8	73	7	58
თელავის	6	26	1	5	1	50
ყვარლის	4	40	8	100	2	25
ლაგოდეხის	6	32	3	20	11	65
გარდაბნის	8	30	7	37	2	29
მცხეთის	2	17	5	42	—	—
მარნეულის	8	32	8	32	—	—
ბოლნისის	7	78	2	29	—	—
წალკის	5	45	5	45	—	—
დუშეთის	6	46	9	90	—	—
თეთრი წყაროს	—	—	6	67	1	33
დმანისის	1	10	7	70	—	—
თიანეთის	1	14	1	20	1	100
სამხრეთ ოსეთის აო	14	52	12	40	1	100
ქ. წყალტუბოს ზონა	6	25	11	50	—	—
სამტრედიის	11	69	5	42	1	100
წულუკიძის	5	50	6	75	—	—
ვანის	9	64	9	75	1	100
მაიაკოვსკის	4	20	4	24	—	—
ზესტაფონის	4	19	4	22	—	—
თერჯოლის	10	63	10	67	—	—
ქ. ჭიათურის ზონა	8	50	8	53	—	—
საჩხერის	8	47	12	75	—	—
ორჯონიკიძის	7	35	9	53	—	—
ქ. ტყიბულის ზონა	11	65	2	15	—	—
ონის	3	60	2	40	—	—
ამბროლაურის	5	26	10	56	—	—
ცაგერის	6	38	2	18	—	—
აბაშის	9	60	6	46	—	—
ცხაკაიას	—	—	2	11	1	50
ვანგეჭკორის	3	11	12	52	1	100
ზუგდიდის	11	28	21	58	—	—
ხობის	—	—	4	22	—	—
წალენჯიხის	3	14	4	20	1	100
ჩხოროწყუს	2	8	1	5	—	—
მახარაძის	—	—	3	11	—	—
ლანჩხუთის	6	38	7	50	1	100
ჩოხატაურის	1	5	10	53	1	100
მესტიის	1	14	2	29	—	—
აფხაზეთის ასსრ	41	29	80	63	2	40
აჭარის ასსრ	15	32	15	19	1	50
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	333	29	459	44	50	47

●●

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად გადაჭარბებითა შესრულებული, ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობების წილად მოდის ხორცის დამზადების საერთო მოცულობის 65 პროცენტი, რძისა 95 პროცენტი და კვერცხისა 90 პროცენტი. ამავე დროს, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ახმეტისა და ლენტეხის გარდა, ყველა რაიონში არის მეურნეობები, რომლებიც ვერ ასრულებენ ამა თუ იმ სახეობის მეცხოველეობის პროდუქციის გეგმას.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ სამტრედიის, თერჯოლის რაიონებისა და ქალაქ ტყიბულის ზონის მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა: ახალციხის, ქარელის, გორის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, დმანისის, წულუკიძის, ვანის, საჩხერის რაიონების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეურნეობებმა — რძის მიყიდვის გეგმა, ხოლო ახალციხის, საგარეჯოს, თიანეთის, სამტრედიის, ვანის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა მეფრინველეობის საწარმომ ვერ შეასრულა კვერცხის დამზადების გეგმა.

მეურნეობებმა, რომლებმაც ვერ შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები, უკვე პირველ კვარტალში, სახელმწიფოს, და მაშასადამე, მშრომელებს დააკლეს 1244 ტონა ხორცი, 5400 ტონა რძე, 9,7 მილიონი ცალი კვერცხი. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გასწიონ ბეჯითი. ყოველდღიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, საჭიროა სწორად ორგანიზებული, ეფექტიანი კონტროლი წარმოების ყველა რგოლში, რათა უკვე მეორე კვარტალში დაძლიონ ეს ჩამორჩენა, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში გაჩაღებული მუშაობა დევიზით: „არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“ გახდეს ყოველი ბრიგადირის, ფერმის გამგის, მეურნეობის ხელმძღვანელის ღვიძილი საქმე, რათა თითოეულმა მათგანმა მტკიცედ შეითვისოს სოციალისტური მცნება იმის შესახებ, რომ გეგმა კანონია, რომელიც წმიდად უნდა დაიცვას ყველამ. იქ კი, სადაც საკონტროლო ორგანოების მუშაკები იჩენენ სიბეცეს, სადაც ერთმანეთში ერევათ ძმაბიჯობა და სამსახურებრივი მოვალეობა, პირადი დამოკიდებულება და პარტიული სინდისი, მეგობრული მფარველობა და მკაცრი მომთხოვნელობა, საქმე გარდაუვალად ფუჭდება. სწორედ ეს ითქვა აპრილის დამდეგს მეცხოველეობის საკითხებისადმი მიძღვნილ პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე, რომელმაც ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სახელმწიფო მეურნეობის, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციის კოლექტივს მოსთხოვა დადგენილი სახელმწიფო დავალებების განუხრელი შესრულება. (საქინფორმი).

პროფკავშირული ცხოვრება

უსაფრთხოება — ყველგან და ყოველ ნაბიჯზე

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრი რამ გაკეთდა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად თანდათანობით მცირდება საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების რიცხვი. ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შედგენილია შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმა. გეგმით დასახული ღონისძიებანი სრულდება ვადაზე და ხარისხიანად. 1978 წელს საბჭოთა მეურნეობაში არ ყოფილა ტრავმატიზმის არცერთი შემთხვევა. იგივე შეიძლება ითქვას მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, იმავე რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობისა და სხვათა შესახებ.

მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ბევრია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც შრომის პირობები არასახარბიელოა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიმჩნევა მეცხოველეობის ფაბრიკებში, სადაც მუშაკთა უმრავლესობას შეადგენენ ქალები. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ბოლნისის, ბორჯომის, თეთრი წყაროს, ქარელის, ადიგენის, ახალციხისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეტ წილ მეცხოველეობის ფერმებში ძალიან დაბალია შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე. ისეთი შრომატევადი ოპერაცია, როგორიცაა საკვების განაწილება, ხელით სრულდება. ზოგიერთ მეურნეობაში არ იყენებენ საწველ აპარატებს. ბევრ ფერმაში მანქანებსა და მექანიზმებს ექსპლოატაციას უწევენ დამცავი სამარჯვებისა და მოწყობილობების გამოუყენებლად.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მწყემსებისა და მწველავების შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის. ყველა ფერმაში როდია სასადილოები და ღამის დასასვენებელი ოთახები. ხშირია შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევები. მეცხოველე და მწველავ ქალებს არ აძლევენ დასვენების დღეებს, ხოლო დასვენებისა და დღესასწაულების დღეებში ზეგანაკვეთური მუშაობისათვის ორმაგ ხელფასს არ უხდიან.

აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირია შრომის დაცვის წესებისა, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, გაუმართავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრანსპორტის, ელექტროქსელის ექსპლოატაციის დარღვევის, უხარისხო სარემონტო სამუშაოთა შემთხვევები. თვითნაკეთი ხელსაწყოების გამოყენების შედეგად საწარმოო ტრავმატიზმის ფაქტებიც არის აღნიშნული. მაგალითად, ბოლნისის რაიონის დარბაზის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. მამედოვი) საპარს აპარატს ამუშავებდნენ უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევით, რაც უბედური შემთხვევის მიზეზი გახდა.

უხეშად ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკის წესები აგრეთვე თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ამავე რაიონის ქვეშის მეკარტოფილეობისა და ბოლნისის მევეხახეობის საბჭოთა მეურნეობებში (დირექტორები მ. ლორთქიფანიძე, მ. ალავიძე, ნ. კობახიძე).

მთელი რიგი რაიონების მეურნეობებში არ შეუდგენიათ მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესების ხუთწლიანი გეგმები, არ ეწყობა საუბრები უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე. წლების განმავლობაში აუთვისებელია შრომის პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების ტექნიკისათვის გამოყოფილი სახსრები.

ჭარელის რაიონის ბებნისის სანერგე მეურნეობაში (დირექტორი ო. კვიჟინაძე), სადაც ყველა შესაძლებლობაა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, უხეშად ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკის წესები. ამავე რაიონის სოფელ ზღუდერის კოლმეურნეობაში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამსახური უმოქმედოდაა, ამ საქმის ხელმძღვანელობა არავის არა აქვს დაკისრებული.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევის ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დმის სვერდლოვის სახელობისა და სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში (გამგეობათა თავმჯდომარეები ს. შავგულიძე და ი. მაჩიტიძე) იყენებენ ტექნიკურად გაუმართავი ტრაქტორების მისაბმელ იარაღებს. დამცავი საშუალებებით არ არის აღჭურვილი საკვებდასამზადებელი აგრეგატები მეცხოველეობის ფერმებში. მეღორეობის ფერმაში არ არის საკენტილაციო დანადგარი. სპეციალური ტანსაცმლითა და დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით უზრუნველყოფილი არ არიან ისინი, რომლებიც შხამქიმიკატებთან მუშაობენ.

თეთრი წყაროს რაიონის ჯორჯაშვილისა და მანგლისის მერძეველობის, ბორბალოსა და წინწყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში (დირექტორები ს. დალაქიშვილი, გ. ჯანიაშვილი, ნ. ძულიაშვილი, ი. ჯადოვი) უყურადღებას არ უთმობენ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. ელექტროგაყვანილობა მეცხოველეობის ფერმებში გაუმართავია, რასაც შეიძლება მოჰყვეს უბედური შემთხვევები მოსავლისა. არ მოუწესრიგებიათ სატრაქტორო პარკი. ნაკელის მექანიზებული გატანის მოწყობილობა ღია ცის ქვეშ აქვთ, საწვავ-საპოზი მასალების საწყობი შემოღობილი არ არის.

უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისადმი გულგრილობას იჩენენ ხობის რაიონის ჭალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ მიმდინარე წლის იანვარში გაუფრთხილებლობის გამო უბედური შემთხვევა მოხდა, რაკაც მსხვერპლი მოჰყვა. ეს უბედური შემთხვევა შეიძლება არც მოხდარიყო, რომ მეურნეობის ადმინისტრაციას ყურადღება დაეთმო იმისათვის, რომ მექანიზატორებს შეესწავლათ უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელები სამუშაო ადგილებზე მიჰყავთ გაუმართავი ავტოტრანსპორტით. ამით უხეშად ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკის წესები, რასაც ზოგჯერ უბედური შემთხვევები მოსდევს. მაგალითად, გასული წლის იანვარში ნ. ბერიძის სახელობის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის ტექნიკურად გაუმართავი ავტობუსი გზიდან გადავარდა და თითქმის ყველა მგზავრი დაშავდა.

შრომის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვაში ირღვევა ხელოვნური ნაკლოვანებანი. ასეა მიზეზებთან ერთად, იმითაც აიხსნება, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბალია მუშაკთა ინტერესი. ... ეკონომიკური დაცვის სამსახური. ზოგჯერ ამ ნაკლს ანდობენ [illegible] პირებს, [illegible] ... ადგილებზე [illegible] ... ადგილებს არ აქცევენ. ამას მოწმობს ისიც, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა 60 პროცენტსა და საბჭოთა მეურნეობების 30 პროცენტს არა ჰყავთ შტატში უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი.

შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკის სრულყოფას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები. არც ერთ მათგანში არ არის სპეციალური საშტატო ერთეული შრომის დაცვის საქმისადმი უშუალო ხელმძღვანელობისათვის. შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებაში საჭირო აქტიურობას არ იჩენენ პროფკავშირული ორგანიზაციებიც.

შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის შემდგომი სრულყოფა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა მოითხოვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელების, ისე სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების დიდ მუშაობას.

ვ. კაკაძე,
სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება

ლონდონის ჩანაწერებიდან

საყოველთაო აღიარება

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა მხურვალე მოწონებისა და კმაყოფილების გრძნობით შეხვდა იმ ცნობას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ლენინური პრემია მიენიჭა წიგნებისათვის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, მშვიდობის დასამკვიდრებლად დაუღალავი ბრძოლისათვის. საზღვარგარეთიდან მოდის გამოხმაურებანი, სადაც აღნიშნავენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები გამოხატავს საბჭოთა ადამიანების, იმ ხალხის აზრსა და მისწრაფებებს, რომელმაც შემუსრა ფაშისტი მტერი, აღადგინა ომით დანგრეული ეკონომიკა და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ყველა ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

სათაურით „მშვიდობისა და პროგრესის საქმის უანგარო სამსახური“ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში წერს: „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ გაჟღერებენ თავისი მნიშვნელობით შორს გასცდა ლიტერატურული მოვლენის ფარგლებს და გადაიქცა პოლიტიკურ აქტად, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანაშეგობრობის ცხოვრებისათვის, ახალ შემოქმედებითს ენერგიას ანიჭებს ჩვენს წინსვლას ნათელი მომავლისაკენ“.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა მთავარი გმირია ხალხი. „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ — ეს არის საბჭოეთის მდიდარი ბიოგრაფიის ამაღელვებელი ფურცლები, რომლებიც გვიჩვენებენ მთელ მის სიდიადეს, შემართებას, ჰუმანიზმს, განაცხადა ბულგარელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა პ. ზარევმა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ძალ-ღონეს არ იშურებს სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების დამკვიდრებისათვის, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისადმი ინტერვიუში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარემ პეტერ ცოლოტკამ.

დამსახურებულ ჯილდოს უწოდებს უნგრეთის საზოგადოებრიობა ლენინურ პრემიას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა წიგნებისათვის — „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, მშვიდობის დასამკვიდრებლად დაუღალავი ბრძოლისათვის, თქვა სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ბელა კოვაჩმა.

სკპპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი — ეს არის გამოჩენილი ხელმძღვანელის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების თავდადებული მებრძოლის ნაწარმოებები, თქვა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ბჭუპეშ გუფთამ.

1978 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ ავღანეთის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ფართო მასების წინაშე დაისახა რადიკალურ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათა განხორციელებისა და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის ნათელი პერსპექტივები.

უმოკლეს ვადაში ავღანეთის მთავრობამ და სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ მშრომელთა მასების ინტერესებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელეს — მათ შორის —მრეწველობის განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის სიხტემის გაუმჯობესების, უწიგნურობის ლიკვიდაციის და გლეხთა კოოპერატივების შექმნისათვის.

სურათებზე: ზემოთ — დღევანდელი ქაბულის ქუჩებში, ქვემოთ — საბჭოთა წიგნის სახლთან.

საკდესის ფოტოკორონიკა.



მოკლედ

ყოველი მხრიდან

24 აპრილი

პრაღა. 25 ნავთობგადასატუმბავი სადგურისათვის კომპლექტურ მოწყობილობას მიაწვდის 1979-1980 წლებში საბჭოთა კავშირს ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა. ამ მოწყობილობით აღჭურვილი ორი პირველი სადგური უკვე ამუშავდა ბაშკირთისა და უკრაინის ნავთობის მაგისტრალებზე.

ლონდონი. სეროიზულ ზიანს აყენებს ხალხის ინტერესებს ინგლისის მონაწილეობა „საერთო ბაზარში“, განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გორდონ მაკლენანმა. შეფილდში გამართულ სხდომაზე მან აღნიშნა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანება აფერხებს ინგლისის ეკონომიკის განვითარებას და მძიმე ტვირთად აწვება ინგლისის მშრომელებს.

დამასკო. სირიის ხამის პროვინციაში ახალი თბოელექტროსადგური ჩადგა მწყობრში. მისი სიმძლავრე 300 ათას კილოვატს აღემატება.

სადგურის სამუშაოების საზეიმო ცერემონიაზე გამოსულმა ენერგეტიკის მინისტრმა ახმედ ომარ იუსეფმა აღნიშნა, რომ სირიის დიდ სამრეწველო რაიონში აგებული ახალი თბოელექტროსადგური მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში.

ბანგკოკი. ტაილანდში გაიმართა პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები. ზედა პალატის — სენატის დეპუტატები მთავრობამ დანიშნა 37 პოლიტიკური პარტიიდან, რომლებიც 301 ადგილს ეცილებიან ერთმანეთს, დეპუტატის მანდატები მიიღო მხოლოდ 15 პარტიამ. მაგრამ არც ეს მათგანს არა აქვს აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც საშუალებას მისცემდა შეედგინათ ერთპარტიული მთავრობა.

ალჟირი. ალჟირის მთავრობა დღენიადაგ ზრუნავს მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შენარჩუნებისათვის. ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს სახელმწიფო სუბსიდიები პირველი მოთხოვნილების მთელ რიგ სასურსათო საქონელზე მუდმივი ფასების შენარჩუნებისათვის. ამ მიზნებისათვის 1979 წლის საფინანსო კანონის ფარგლებში გათვალისწინებულია დაახარჯოს 900 მილიონი დოლარი. (საკდესი).

კონსტრუქციული, სასარგებლო შეხვედრები

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრები, რომლებიც მოსკოვში დამთავრდა, მეტად კონსტრუქციული და სასარგებლო იყო. ჩვენ განვიხილეთ ორი ქვეყნის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვან პრობლემათა კომპლექსი, და უწინარეს ყოვლისა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვასთან დაკავშირებული პრობლემები, ვაჭრობის საკითხები, სხვა პრობლემები. მოლაპარაკება, უეჭველია, ხელს შეუწყობს პროგრესის მიღწევას ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების, იმ სხვა პრობლემების გადაწყვეტის გზაზე, რომლებიც ჩვენს წინაშეა დასახული, ეს განაცხადა მოსკოვიდან გაფრენის წინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა პალატის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯ. ბრედიმასმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრების დროს ორივე დელეგაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ამჟამად მსოფლიო ომის საფრთხის შემოფხვრისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ ახალი შეთანხმების რაც შეიძლება სწრაფად დადებას. წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში დადებითი წვლილია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებაში, ხაზი გაუსვა ჯ. ბრედიმასმა.

ჩვენი საუბრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან კონსტრუქციული, გულახდილი იყო, ჩვენ უკეთ შევიტყვეთ ერთმანეთის პოზიციები, უთხრა საკდესის კორესპონდენტს წარმომადგენელთა პალატის წევრმა რ. გეპჰარდტმა (დემოკრატი, მისურის შტატისაგან). ჩვენს ქვეყნებს დიდი მანძილი აშორებს და იქნება ამიტომაც, ზოგჯერ ძნელდება პარტნიორის თვალსაზრისით ჯერ ოვნად გაგება; ამ მხრივ ახლანდელის მსგავსი პარლამენტართა შეხვედრები შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევიან შეხედულებათა გაზიარებისათვის. როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში დავბრუნდები, ჩემს ამომრჩეველებს ვუამბობ თქვენი ქვეყნის, საბჭოთა ადამიანების მშვიდობისადმი გულწრფელი მისწრაფების შესახებ, რასაც ყველგან ვგრძნობდი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. ამერიკის შეერთებულ შტატებში უწინარეს ყოვლისა სწორედ იმას ვიტყვი, რომ საბჭოთა ხალხს სურს იცხოვროს მშვიდობიანად სხვა ხალხებთან.

ჩვენი ქვეყნების წინაშე მდგომი უახლოესი, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ დადონ შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა ტ. უორტმა (დემოკრატი, კოლორადოს შტატისაგან). საჭიროა, ბოლოსდაბოლოს, ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება. ამერიკელთა უმრავლესობა მხარს უჭერს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების მიღწევას. თუ ჩვენ სტრატეგიული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემას გადავწყვეტთ, მე კი ამის იმედი მაქვს, უეჭველია, შევძლებთ, იმ ბევრი სხვა პრობლემის გადაწყვეტასაც, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს გზაზე.

(საკდესი).

ამერიკის საგამომცემლო კომპანიის პრეზიდენტი საქართველოში

ახალი ამბების სააგენტოს მოწვევით საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ ამერიკის საგამომცემლო კომპანიის „ჰერკორტ ბრეის ჯოვანოვიჩის“ პრეზიდენტი უილიამ ჯოვანოვიჩი და მისი მეუღლე.

22-23 აპრილს ამერიკელი გამომცემელი თბილისში იმყოფებოდა. მან დაათვალიერა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი და მცხეთის ისტორიული ძეგლები, ეწვია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდიაშვილისა და საქართველოს სახალხო მხატვრის ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოებს.

უ. ჯოვანოვიჩი და მისი მეუღლე მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

მან ამერიკელ სტუმარს გააცნო საქართველოს წარმატებები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

ო. ე. ჩერქეზიამ მაღალი შეფასება მისცა ამერიკის გამომცემლობის საქმიანობას, რომელმაც მარტში გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ“. ეს წიგნი ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, სსრ კავშირის დაუცხრომელ ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის.

უ. ჯოვანოვიჩმა გამოიკითხა რესპუბლიკაში განათლების სისტემის განვითარების საკითხები, დაინტერესდა, თუ როგორ წყდება კულტურის ძეგლთა დაცვის პრობლემა, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. მან თქვა, რომ რამდენიმე წლის წინათ მისმა გამომცემლობამ წარმატებით გამოუშვა XIX და XX საუკუნეების ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული. ამერიკელმა გამომცემელმა გამოთქვა სურვილი, რომ უახლოეს მომავალში მოამზადოს დასაბეჭდად წელიწდეულები, რომლებიც საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს მიეძღვნება. (საქინფორმი).

რევოლუციის მონა

სათბობს, ელექტროენერგიას — ყაირათიანი ხარჯვა, ზუსტი აღრიცხვა!

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემოწმების შედეგების შესახებ.

შარშან რესპუბლიკაში, მართალია, 62,5 ათასი ტონა პირობითი სათბობი დაიზოგა, მაგრამ [illegible]ული დავალების მხოლოდ ნახევარს შეადგენდა. ასევე შეუსრულებელი დარჩა თბო და ელექტროენერგიის დაზოგვის გეგმები.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო (მინისტრის პირველი მოადგილე — ს. ვარდოშვილი, განყოფილების გამგე — გ. მეტრეველი), ცეკავშირი (თავმჯდომარის მოადგილე — გ. შთონიაშვილი), მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (მთავარი ინჟინერი — თ. გელეიშვილი) და სხვები სათანადო კონტროლს ვერ უნყვენ სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიას.

გეგმების შეუსრულებლობის, ყაირათობისა და მფლანგველობის შედეგად საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შარშან გადახარჯა 12,4 ათასი ტონა პირობითი სათბობი და 7,3 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ენერგოგასაღების ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის და უკონტროლობის შედეგად ვხვდებით ლიმიტს ზევით ელექტროენერგიის ხარჯვის ფაქტებს. ასე ხდება მაგალითად, ცეკავშირის სისტემაში, მცხეთის, გარდაბნის, საგარეჯოს რაიონებში. მარტო რაიკოოპკავშირების ხაზით ლიმიტის გადახარჯვამ 34,1 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა.

ზოგიერთი ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის არასწორად მოწოდების შედეგად შარშან „საქმთავარენერგოს“ სისტემაში ელექტროენერგიის ფაქტიურმა დანაკარგებმა საგეგმოს 25,2 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა. დანაკარგების ერთას ხელს უწყობს საკონტროლო საზომი ხელსაწყოების არასაკმაო რაოდენობა და ენერგორესურსების ხარჯვის მოუწესრიგებელი აღრიცხვა. „საქმთავარენერგოს“ 44 ათას ობიექტზე მეტი უმრიცხველო აბონენტია, რაც ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით დატაცებას იწვევს. ხაშურის რაიონის სოფელ გომის სპირტის ქარხანას (დირექტორი — დ. დუგლაძე) აღრიცხვის დარღვევების გამო 460,6 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაერიცხა, ხოლო ვალითის სატრანსფორმატორო ქარხანას (დირექტორი — პ. მეტონიძე) — 135,9 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, ზოგიერთი ორგანიზაცია არაფერს არ აკეთებს მათთვის

განიავებული სიმდიდრე

ანუ როგორ უგულოდ ვეკიდებით სახელმწიფო, საზოგადოებრივ დოვლათს

განკუთვნილი მრიცხველების ასათვისებლად. მაგალითად, ცეკავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ქუთაისის ბაზამ მისთვის გამოყოფილი 188 მრიცხველიდან მხოლოდ 10 ათვისა. არც ერთი მრიცხველი არ აუთვისებიათ გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიკოოპკავშირებს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს (მინისტრი — ნ. ვაშაძე) თბომეურნეობებში თბოენერგიის ხარჯსაზომების უქონლობის გამო თბოენერგიის გამომუშავება და ხარჯვა განისაზღვრება სათბობისა და წყლის ფაქტიური ხარჯვით. ზოგიერთ სანარმიტის გადამეტებით გადახარჯეს 3,1 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ლიმიტის 5 პროცენტით შემცირების ნაცვლად, იანვარში 30-მა საწარმომ გადახარჯა 81,2 ათასი მანეთის 1,1 მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგია, თებერვალში კი 22-მა საწარმომ — 35,3 ათასი მანეთის 428,9 ათასი კილოვატსაათი. წულუკიძის რაიონის წყალსადენმა (კომუნალური მეურნეობის უფროსი — ლ. ბალავაძე) წლეულს თებერვალში გადახარჯა 5,7 ათასი მანეთის 68 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის, აჯანყოფილების სილიკატური აგურის ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მხრივ არასაკმაო კონტროლის გამო ხშირად არ ხდება სტატისტიკური ანგარიშგება, რის გამოც მახინჯდება ენერგორესურსების ხარჯვის ნამდვილი სახე. ასეთ ფაქტებს ვხვდებით შადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში.

ყოველივე ეს იმითაც არის გაჟმნეული, რომ სახალხო კონტროლის ზოგიერთი კომიტეტი შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების აღრიცხვით და არ აანალიზებს ენერგორესურსების გადახარჯვისა და მფლანგველურად ხარჯვის მიზეზებს.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობისა და „საქმთავარენერგოს“ ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც შემოწმებისას გამოვლინდა. ენერგორესურსების ხარჯვის საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად საჭირო ზომების მიუღებლობისა და არასაკმაო მომთხოვნელობისათვის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ვარდოშვილი მკაცრად არის გაფრთხილებული. ამავე სამინისტროს მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკოსის განყოფილების უფროსს გ. მეტრეველს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. საყვედურები მიიღეს აგრეთვე ცეკავშირის საწარმოო - ტექნიკური სამმართველოს უფროსმა ა. ჯავახიშვილმა და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მთავარმა ინჟინერმა თ. გელეიშვილმა.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილმრჩივ ანაზღაურების მიზნით წულუკიძის კომუნალური განყოფილების უფროსს ლ. ბალავაძეს და ხაშურის რაიონის სოფელ გომის სპირტის ქარხნის დირექტორს დ. დუგლაძეს დაეკისრათ თითო თვის ხელფასის გადახდა.

ცნობად იქნა მიღებული, რომ გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორი გ. ყიასაშვილი გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდით თითოელ სამუშაო წუთს! დაზოგეთ ლითონი, ნედლეული, ეფექტიანად გამოიყენეთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველადასო მოწოდებიდან.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 146

ზითვიზეული აზღვევინეს

ფოთი. სარკინო ბუგუბერი ხამმართველოს მმართველების განყოფილებაში, საბიუჯეტო ანგარიშების არასწორი ხარჯვის ფაქტებ ამხილა სამმართველოს სახალხ კონტროლის მეთაურმა ჯგუფმ და მასალები რეგიონრებისათვი ადმინისტრაციას გადასცა.

ჯგუფის მიერ წარდგენილი რე კომეხდაციების საფუძველზე ად მინისტრაციამ დამნაშავენი საკა დრისად დასაჯა. კერძოდ, მომა რაგების განყოფილების უფროსი მოადგილე ა. აბრიტალიხი მოიხ სნა თანამდებობიდან, ხოლ მძღოლებს ა. მჟავიას, დ. გოგავა რ. ღვანიას, ვ. მიმინოშვილს დ ინჟინერ ლ. პეტერენკოს გამოე ცხადათ სასტიკი საყვედური უკა ნასკნელი გაფრთხილებით. მათვ დაეკისრათ უკანონოდ მიღებულ თანხების გადახდა.

ამასთან მომარაგების განყოფი ლების უფროსი ვ. ხოშტარია ჩა მოქვეითებულია, მეტაბელე ო ტურელაძეს გამოეცხადა საყვე დური. სამმართველოს ბრძანები დასახულია ღონისძიებანი სამივ ლინებო თანხების ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის.

კ. კომახიძე.

ვირველი ხუთწლედის პირმშო — თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა ამყამად საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოა, რომლის პროდუქცია საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში იგზავნება.

ფაბრიკის მწყობრში ჩადგომის პირველივე დღიდან წარმოების მუშაკთა მთავარი საზრუნავია ქსოვის ხარისხის ამაღლება.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლიორებს. მათ ყურადღების გარეშე არ რჩებათ დისციპლინის არც ერთი დარღვევა. ისინი სისტემატურად აწყობენ რეიდებსა და შემოწმებებს, ხელს უშლიან უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ფაბრიკის საქსოვი წარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, ოსტატის თანაშემწე ავთანდილ მეგრელიშვილი, სახალხო კონტროლიორები, მქსოველი მზია ახვლედიანი და ოსტატის თანაშემწე რეზო გეწაძე მორიგი რეიდის დროს პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიულ აქტივთან ერთად

გაიმართა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის აქტივის კრება.

მოხსენება „ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ლითონის პროდუქციის გამოშვების გეგმებისადმი კონტროლის დაწესების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის 1978 წლის 25 თებერვლის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებისა და ქუთაისის ავტოქარხნის სახალხო კონტროლიორთა მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე“ გააკეთა ავტოქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. გოდოლაძემ.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობდნენ ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კომუნალური მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების გამგე გ. ბანცაძე, საკონტროლო-ექსპერიმენტული განყოფილების, ზასის, სიჩქარეთა კოლოფის საამქროების კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები გ. სახტარაძე, ი. ცერცვაძე, ს. კულუმბეგაშვილი, გამომთვლელი საამქროს სახალხო კონტროლიორი ნ. ცინცაძე, ქარხნის „კომკავშირული პროუექტორის“ შტაბის წევრი ჯ. კეთილაძე, საარაღო-სატვიფრო, მთავარი კონვეიერის საამქროების კარტბიურის მდივნები ჯ. დიდიძე, რ. კუჭუხიძე, ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი ა. ბოხუა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი შ. ბობოხიძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ავტოსაქარხნო რაიკომის პირველი მდივანი ნ. ავალიანი, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ს. კურტანიძე, ქარხნის დირექტორის მოადგილეები ა. კირთავა, ბ. კევლიშვილი, მთავარი ინჟინერი თ. გენძეხაძე, ავტოსაქარხნო, ლენინის რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები ო. დვალიშვილი, ლ. დოლაბერიძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი ს. ხერგიანი.

კრების მუშაობა შეაჯამა ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ფანჩულიძემ. („კომ.“ კორ.)

მათი ხელი ყველგან სწვდება

ჩვენი ქარხნის კონტროლიორთა ფხიზელი თვალი ყველგან სწვდება, მათ მხედველობიდან არ რჩებათ უმნიშვნელო ნაკლიც. კი. როგორც მთავარ ჯგუფში, ისე სექტორებში კონტროლიორებად შერჩეული არიან ინიციატივიანი, მოწიფული ადამიანები. ან ისინი: ტექნიკური კონტროლის უფროსი ე. ნანეიკა, ოსტატი ბ. სლანოვი (თავმჯდომარე), საგეგმო განყოფილების ინჟინერი ბ. თედეევი, მომმინანქრებელი საამქროს უფროსი ოსტატი დ. ურიგაევი, ქიმიური ლაბორატორიის გამგე ბ. გასიევი, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ჯ. ბიტიევა და სხვები. სულ მთავარ ჯგუფში 25 კაცია.

ცხინვალის მომინანქრებული სადენის ქარხანაში მინანქრის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ლაქის ხარისხზე. ამ ლაქის ჭურჭელი ღია ცის ქვეშ ეყარა და ფუჭდებოდა, წყალში იყრებოდა ათასები. სახალხო კონტროლიორებმა ამაზე განგაში ატეხეს. მათ მხარი დაუჭირა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, და მდგომარეობაც გამოსწორდა.

ამას წინათ სახალხო კონტროლიორთა მთავარმა ჯგუფმა მომმინანქრებელთა საამქროში რეიდი მოაწყო. აქ წუნდებულ პროდუქციას არავინ წუნიდა, იგი თვალით იზომებოდა და ისე შეჭქონდათ საბუთში. ახლა ასეთ პროდუქციას კონტროლს უწევენ.

კონტროლიორებმა ე. ურიგაევმა, ი. კაბისოვამ, ზ. იკოევმა და ა. ალოევამ შეამოწმეს მუშათა საყოფაცხოვრებო ობიექტები. მომმინანქრებელთა საამქროს გასახდელი ჩანელებული იყო, საშხაპე — მოშლილი. სამწუხაროდ, შემკეთებლებმა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. კონტროლიორთა ფხიზელ თვალს არც ის გამორჩა, რომ ზოგიერთი მუშა უქმე დღეებში არ მუშაობდა, სადღესასწაულო ანაზღაურებას კი იღებდა. ეს საკითხიც დაუყოვნებლივ მოგვარდა.

სახალხო კონტროლიორები პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ყოველთვის მხარში უდგანან, ჩვენც ყურადღებას არ ვაკლებთ მათ. პარტიული ორგანიზაციის კრებებზე ვისმენთ როგორც მთავარი ჯგუფის, ისე სექტორების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს.

კ. კლიევა,

ცხინვალის მომინანქრებული სადენის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

სახალხო კონტროლიორები

მძიმე ტვირთი

უყაირათოებით დაკარგული კილოვატები

კილოვატები უყაირათობით [illegible]კარგა, ცხადია, ენერგიის გა[illegible]ულ დეფიციტს ქმნის, აფეხებს სახალხო მეურნეობის [illegible]ალკული დარგების მუშაობას. [illegible]არგ საქმეს აკეთებს საჩხერის [illegible]აიონის პროკურატურა, რომელიც ზედამხედველობის წესით, [illegible]ახალხო კონტროლის რაიონულ [illegible]ომიტეტთან ერთად სისტემატურ [illegible]ეთვალყურეობას უწევს ენერ[illegible]ის მიზნობრივ გამოყენებას.

[illegible]საანადო მუშაობის შედეგად [illegible]ვრძნობლად შემცირდა ენერ[illegible]ის არამიზნობრივი ხარჯვა, მა[illegible]რამ ნაკლოვანებანი მაინც საკ[illegible]ოდ ბევრი გამოვლინდა. მაგა[illegible]ითად, საყოფაცხოვრებო მომ[illegible]ურების სამმართველომ გადა[illegible]ჯა 38.790 კილოვატსაათი [illegible]ლექტროენერგია, რისთვისაც [illegible]რიმის სახით გადაიხადა 4.484 [illegible]ეთი. ამავე ორგანიზაციამ ცო[illegible] ხნის შემდეგ კვლავ გადაიხადა 783 მანეთის ჯარიმა. ეს არის [illegible] ორგანიზაციის ხელმძღვანელ[illegible] უგერგილობის პირდაპირი [illegible]ედეგი. როგორც ირკვევა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სატრანსფორმატორო სადგურში ჩართულია ავტოსადგური, წყალთა მეურნეობა, ხუთი მაღაზია, სარემონტო კანტორა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სახელოსნო. ამ ორგანიზაციებს აპისათვის სათანადო ლიმიტები არა აქვთ და არც ანგარიშსწორებას ახდენენ „საქენერგოს“ ენერგოგასაღების კანტორასთან.

ანალოგიური მდგომარეობაა კომუნალური მეურნეობის საწარმოო კომბინატში, სადაც ჯარიმის სახით გადაიხადეს 846 მანეთი, ხოლო სიჩხერის ღვინის ქარხანამ — 1.472 მანეთი. ამ საკითხებზე იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

გატარებულმა ღონისძიებამ ნაყოფი გამოიღო. მეფრინველეობის ფაბრიკამ, რომელმაც 9.320 კილოვატსაათი ენერგიის გადახარჯვისათვის 372 მანეთის ჯარიმა გადაიხადა, ახლა ისე მომჭირნედ, მეურნეობრივად მიუდგა ენერგიის ხარჯვას, რომ 24.300 კილოვატსაათი დაზოგა. (საკ. კორ.).

დასჯა მთავარი როდია

საკითხს სამი ათასი კონტროლიორი ამოწმებდა

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკური ხარჯვის საკითხზე არაერთხელ იმსჯელა ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა და სათანადო ღონისძიებებიც დასახა. ამ საქმეში ჩავაბით სამრეწველო საწარმოთა 135, მშენებლობის 36, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის 13, კოლმეურნეობების 162, საავჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების 45 ჯგუფი და საგუშაგო, რომლებშიც 3.000-დე სახალხო კონტროლიორია გაერთიანებული.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის თანამიმდევრულ ღონისძიებებს ახორციელებენ ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში. აქაური კონტროლიორები აწყობენ რეიდებსა და დათვალიერებებს, ავლენენ ნაკლოვანებებს და ზომებს იღებენ მათ აღმოსაფხვრელად. აი კონკრეტული მაგალითი: კონტროლიორებმა დროულად შენიშნეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლებელი იყო ორი ელექტროძრავის შეცვლა უფრო ეკონომიური, მცირე ძრავებით. ეს საკითხი მათ ფაბრიკის დირექციის წინაშე დააყენეს. მოთხოვნა დადებითად გადაწყდა, იანვარ-თებერვალში დაზოგეს 9.600 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ორჯონიკიძის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა „კომკავშირულ პროექტორთან“ ერთად უკანასკნელი წლის მანძილზე არაერთი რეიდი მოაწყო. ბევრ სამთო მექანიზმს აკლდა მოვლა-პატრონობა, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო ელექტროქსელი. რეიდის შედეგების მიხედვით ადმინისტრაციამ სათანადო ზომები მიიღო. მუშაობის ასეთმა პრაქტიკამ გამართლა — შარშან შახტმა 761.100 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა, რაც ფულადი გამოხატულებით 7.991 მანეთს შეადგენს.

ქალაქის მუშათა მომარაგების განყოფილების ობიექტებზე მოწესრიგებული არ იყო ელექტროენერგიის ხარჯვის საქმე. კონტროლიორების აქტიურმა ჩარევამ აქაც გასწორა. წესრიგში იქნა მოყვანილი ელექტროგადაცემის ხაზები, შეაკეთეს სამაცივრო მეურნეობა, მუშათა სასადილოებსა და მაღაზიებში დაიდგა ელექტროენერგიის 35 მრიცხველი, ამ გზით სავაჭრო ორგანიზაცია ახლა ყოველთვიურად 25 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას ზოგავს.

სამწუხაროდ, ქალაქის ყველა სამრეწველო ორგანიზაცია და დაწესებულება როდი იბრძვის მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დანერგვისთვის. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის თბოწყალკანალიზაციის სამმართველოს მისამართით. მისი 27 საქვაბე მეურნეობიდან მხოლოდ ერთს აქვს მრიცხველი.

ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის ფაქტები შეიმჩნევა მომსახურების სფეროშიც. სახალხო კონტროლიორების მიერ მოწყობილმა რეიდებმა დაადასტურა, რომ ელექტროენერგიის დიდ ნაწილს იყენებდნენ საცხოვრებელი ბინების გასათბობად, რაც აკრძალულია. მობინადრეთა ერთი ნაწილი სარეგლობდა კუსტარული წესით დამზადებული გამთბობი ხელსაწყოებით. მუშათა მომარაგების განყოფილების 45-ე მაღაზიაში და რკინიგზის ტყიბულის სადგურში გათბობისათვის იყენებდნენ თვითნაკეთ ღუმელებს. რაიკავშირის გამგეობის მე-2 მაღაზიას დღისით ანთებული ჰქონდა ელექტრონათურები. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბევრი მობინადრე ისეთ სამარცხვინო საქმეს ეწევა, როგორიც არის ელექტროენერგიის ქურდობა. ასეთ - ქმედობაში ერთი წლის მანძილზე შეჭჩნეული იყო 180 მობინადრე. მათ იძულებითი წესით გადახდათ 185 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება.

სახალხო კონტროლის ორგანოები მკაცრ პასუხისგებაში აღლენენ იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც თავიანთი უპასუხისმგებლობით დაუშვეს ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტის დარღვევა. წლის მანძილზე 17 თანამდებობის პირს დაედო სასჯელი. ერთი მათგანი გაათავისუფლეს სამუშაოდან, მეორეს კი გადაახდევინეს ჯარიმა.

სასჯელის ასეთ ზომებს სახალხო კონტროლის ორგანოები მანამ გამოიყენებენ, სანამ სრული წესრიგი არ დამყარდება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში.

რ. გოგოლაშვილი,

ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების ინსპექტორი.

ნესებს არღვევენ

ზუგდიდი. (საკ. კორ). სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტ[illegible]მრიგ სხდომაზე განიხილა, [illegible] როგორ დგას ქალაქის საწარ[illegible]-დაწესებულებებში სათბობი [illegible] ენერგეტიკული რესურსების [illegible]ჭირნეობით ხარჯვის საკითხი. [illegible]სათბობისა და ენერგორესურ[illegible]ის უყაირათო ხარჯვის შემთხ[illegible]ვები აღმოჩნდა საკონსერვო ქა[illegible]ანში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, ფაიფურის ქარხანაში, პუ[illegible]ომბინატში, „საქჩაის“ ტრესტის მექანიკურ სარემონტო კომბინატში. ამის მიზეზი ის არის, რომ ირღვევა სათბობის შენახვისა და განსაკუთრებით გაცემის წესები, ბევრგან არ გაიჩნიათ საკონტროლო საზომი ხელსაწყოები, სასწორები, მრიცხველები. სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ სათბობისა და ენერგორესურსების ყაირათიანად ხარჯვისათვის ჯეროვნად ვერ იბრძვიან საწარმო-დაწესებულებათა სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

კარიკატურისტის კომენტარი



ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში ნამდვილად რომ უყაირათოდ ხარჯავენ ელექტროენერგიას. ხშირია შეეთხვევა, როცა დღისით ჩართულია სინათლე, გაჩირაღდნებულია შენობები, ეზოგარემო და უმიზნოდ იწვის და იკარგება დენი. განა ასე უნდა ვეკიდებოდეთ სახალხო დოვლათს?

მკითხველის სიგნალიდან.

●●

რედაქციაში მიღებული ამ სიგნალის კომენტარს მხატვარმა გ. ლომაძემ „დღისით, მზისით“ უწოდა.

ბამოცდილება

ხარისხი, ხარისხი!

ერთი მეურნეობის კონტროლის ჯგუფი

სოფელ გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს კარგად ახსოვთ ამ მეურნეობაში შექმნილი კონტროლის ჯგუფის პირველი ნაბიჯები. გადიოდა წლები, ჯგუფი ძალებს იკრებდა, იწრთობოდა. იმ შედეგებს, რომლებსაც კონტროლიორებმა მეურნეობის წინსვლისათვის ბრძოლაში მიაღწიეს, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა.

— ალბათ მეურნეობის თითოეული მუშის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს წინსვლაში კონტროლის ჯგუფის როლი დიდია. შარშანაც ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევდა. ჯერარნახულ გამარჯვებას 6.366 ტონა გრემული ყურძენი რომ ერთვოდა, სახალხო კონტროლის ჯგუფის გამარჯვებაც არის. ვენდობით ჩვენს კონტროლიორებს და გვჯერა მათი, ამბობს მეურნეობის მთავარი აგრონომი ზ. ტოგონიძე.

ჯგუფს მეურნეობის ყველა გაყოფილებაში, სატრაქტორო პარკში, მეღორეობის ბრიგადასა და სასუქ პუნქტში შექმნილი აქვს სამ-სამი კაცისაგან შემდგარი საგუშაგოები, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. გრემელ კონტროლიორებს სწორედ პრაქტიკული საქმიანობა ამშვენებთ. ჯგუფს სწამს, რომ იგი დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს ეწევა, მას მეურნეობის ბატონ-პატრონის გრძნობა აქვს.

— ხარისხი, ხარისხი! — აფრთხილებენ ერთმანეთს შრომის ფერხულში ჩაბმული მუშები. უხარისხობას არავინ გვპატიებს, ხომ ხედავთ, კონტროლიორები გვითვალთვალებენ, ვიმუშაოთ ისე, რომ ყველასათვის მოსაწონი იყოს.

ჯგუფის მუშაობას ზუსტი გეგმიანობა უდევს საფუძვლად. მისი კვარტალური გეგმები მეურნეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს და კოლექტიურობასა და საჯაროობას ეყრდნობა. გეგმებს პარტიული ორგანიზაციისა და მშრომელთა კოლექტივების კრებებზე იხილავენ.

ვენახების გასხვლა და ფორმირება ჯგუფის მთავარი საზრუნავია. კონტროლიორები არავის აპატიებენ ვაზის გადატვირთვას, მაგრამ არც იმ მევენახეს ურიგდებიან, ვინც ვაზზე 3-4-ის ნაცვლად 1-2 რქას ტოვებს. რა თქმა უნდა, ერთიც დანაშაულია და მეორეც. შარშანაც და წლეულსაც კონტროლიორებმა ვაზის უხარისხო სხვლის მრავალი ფაქტი აღმოაჩინეს და ნაკლოვანებანი ადგილზევე გამოასწორეს. შემოწმდა ვაზის საყრდენი მასალის რემონტი. მესამე ბრიგადაში უხარისხოდ კეთდებოდა ღუზები, სამედოდ არ იყო შედგმული სარები. ეს სამუშაო ხელფასის დაურიცხავად, ხელმეორედ იქნა შესრულებული.

შარშან გასხვლა-გაფურჩვნის დროს სერიოზული ნაკლოვანებანი აღმოაჩინეს მეორე ბრიგადაში. ვაზი ხელმეორე ფურჩვნას მოითხოვდა. კონტროლიორთა მითითებები სხვა ბრიგადებისთვისაც სასარგებლო გამოდგა. დიდი ყურადღება ეთმობა ვაზის წამლობის აგროტექნიკას, როცა ეს სამუშაო გაჩაღდა, კონტროლიორები ლაბორატორიაში სისტემატურად ამოწმებდნენ წამლის ხარისხს და უმნიშვნელო დარღვევებსაც კი მსჯელობის საგნად ხდიდნენ.

ავ თვალს არ ენახვებოდა ზვრები, ყურძნით დახუნძლული ვაზები უჩვეულო მოსავალს ჰპირდებოდნენ მევენახეებს. ასეთ ვითარებაში სახალხო კონტროლის ჯგუფმა ჭრაქით დაავადებული ჰექტარები აღმოაჩინა. მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშო იყო. სასწრაფოდ შემოწმდა წამლის ხარისხი და აღმოჩნდა, რომ ხსნარი სუსტი იყო, ცხადია, რაღაც ანგარება იმალებოდა. კონტროლის ჯგუფმა შემოწმების მასალები დირექციას წარუდგინა, ბრიგადირი ფ. წიკლაური და განყოფილების გამგე გ. ახალბედაშვილი გაათავისუფლეს სამუშაოდან.

ამავე პერიოდში ცნობილი გახდა, რომ ტრაქტორისტი ჯ. ნაბაიშვილი, დიდი ხელფასის გამომუშავების მიზნით, უხარისხოდ წამლავდა ვენახებს, არ იცავდა ტრაქტორის მოძრაობის წესებს, ჩქარობდა, სარგებს ამტვრევდა. კონტროლიორთა წარდგინებით ტრაქტორისტი სამუშაოდან დაითხოვეს.

გასულ შემოდგომაზე მეორე ბრიგადაში აგროტექნიკური ვადების დარღვევით და უხარისხოდ მიმდინარეობდა ვაზის ძირების გამობარვა. კონტროლიორებმა საქმეში მეურნეობის დირექცია ჩარიეს, უპასუხისმგებლო ბრიგადირი ხ. ფეიქრიშვილი სამუშაოდან გათავისუფლეს.

კონტროლის ჯგუფმა შარშან არაერთხელ შეამოწმა ღორის სასუქი პუნქტის საქმიანობა. გამოირკვა, რომ მწყემსები უ. ალიაშვილი და ზ. ხახუტაშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ მოვალეობას, არღვევდნენ შრომის დისციპლინას. ერთხელ აქ კონტროლიორები სწორედ მაშინ მივიდნენ შესამოწმებლად, როცა მწყემსებს მიტოვებული ჰქონდათ იქაურობა, პირუტყვი მთელი დღე-ღამის ნაშიმშილარი იყო. კონტროლის ჯგუფს ისღა დარჩა, რომ მწყემსთა სამუშაოდან განთავისუფლება მოეთხოვა.

უყურადღებოდ არც საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის საკითხი დარჩა. შემოწმდა დახარჯული საწვავისა და შესრულებულ სავტომობილო და სატრაქტორო სამუშაოთა პირველადი აღრიცხვა. გადახარჯული ყოფილა 3 ტონამდე დიზელის სათბობი და 1 ტონაზე მეტი ბენზინი. მისი ღირებულება მთლიანად მექანიზატორებსა და მძღოლებს გადაეხდევინეს.

დღეს ყვარლის რაიონში ცოტას როდი ლაპარაკობენ გრემი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივზე, რომელიც ჩინებულად მუშაობს. ა წარმატებას სხვა ღონისძიებებთან ერთად, სახალხო კონტროლიორთა სიფხიზლესაც მიაწერენ. კონტროლის ჯგუფის ღვაწლს მეტყველებს ისიც, რომ შარშან მეურნეობის თითოეული მუშა საშუალო გამომუშავებამ შეადგინა 1355 მანეთი, ხოლო რამდენიმე თეთული მუშის შრომის ანაზღაურებამ და პრემია-დანამატმა — 4 ათასი მანეთი.

ერთი სიტყვით, თითოეულ კონტროლიორი მუშაობის მისაბაძ მაგალითს იძლევა, ხოლო მათი თავმჯდომარე ე. შილდელაშვილი საზოგადოებრივი მუშაკი ნიმუშია. შარშან მისი ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მეურნეობაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 515 ტონისა, მიიღო 1002 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, — ამბობს პარტიული კომიტეტის მდივანი ვარსიმაშვილი.

ამბობენ, კონტროლი დიდი ხელოვნებაა. უნარიანად ხელმძღვანელობდე და ახორციელებდე ამ საქმეს — ეს ნიშნავს იმსახურებდე მასების ნდობასა და სიყვარულს.

დ. ლაფაჩიშვილი

„კომუნისტის“ შტატგარეშ კორესპონდენტი.

Литературная Газета

მკითხველის სიყვარული

ყოველ ოთხშაბათს გამოდის „ლიტერატურნაია გაზეტა“. იმის თაობაზე, თუ რა მიზნებს ისახავს გაზეთი, როგორ იღვნის ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობისათვის, გვესაუბრება მისი პასუხისმგებელი მდივანი ვალერი გორგუნოვი.

— ნახევარი საუკუნის წინათ, 1929 წლის აპრილში გამოვიდა „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირველი ნომერი. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ამ ორგანოს ორმოცდაათი წლის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორიასთან, კულტურისა და ლიტერატურის პროგრესთან.

ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ გაზეთის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში მის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის ნაყოფიერი მუშაობისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის „ლიტერატურნაია გაზეტა“ ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოდდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მწერლის მოღვაწეობა მარტო წიგნების წერით არ ამოიწურება. იგი გულისხმობს ფართო და მრავალმხრივ კავშირს ხალხთან, მის აღმშენებლობითს შრომასთან. ეს კავშირი უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოებაში საბჭოთა მწერლის როლიდან, რომელიც დამახასიათებელია სოციალიზმის სოციალური სტრუქტურისათვის.

ამიტომ კანონზომიერია, რომ ჩვენი გაზეთი არასოდეს, თავისი არსებობის პირველ წლებშიც კი არ ყოფილა წმინდა ლიტერატურული.

ლიტერატურული გაზეთის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ეკონომიკისა და მეცნიერების, სამართლისა და მორალის პრობლემები, იგი აქტიურად აშუქებს საერთაშორისო პრობლემებს, მისთვის უცხო არ არის სატირა და იუმორიც.

ძნელი, თითქმის შეუძლებელია ჩამოთვალო ის ძირითადი თემები, რომლებიც ჩვენს გაზეთს აღუძრავს მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე. ფართოვდება გაზეთის გეოგრაფიული, უფრო სწორედ, თემატური ჰორიზონტი. ამ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა სპეციალური გვერდი — „სოფლად“, სადაც უკვე განვიხილეთ რამდენიმე რთული და საჭირბოროტო პრობლემა, კერძოდ, სოფლისადმი ქალაქის შეფობის პრობლემა.

ჯერ კიდევ ძველად ამბობდნენ, ჭეშმარიტება პაექრობაში იბადებაო. აზრთა თავისუფალი გაზიარება, კამათი, დისკუსია სოციალისტური საზოგადოების — ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების ბუნებრივი ატრიბუტებია. ზოგიერთი ჩვენი დისკუსია წლობით გრძელდება, ზოგი რამდენიმე პუბლიკაციის შემდეგ წყდება.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე ნახავთ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს რომელიმე გახმაურებულ თანამედროვე წიგნზეც, მწერალთან მკითხველის მიმოწერასაც, პოპულარულ პოეტთან კრიტიკოსის მწვავე დიალოგსაც, რეცენზიებსაც ახალ წიგნებზე, მოთხრობებსა და ლექსებზე...

ერთი სიტყვით, მხატვრული პრაქტიკა და ლიტერატურული კრიტიკა, სტილისტური მრავალფეროვნება და იდეური ერთიანობა, ცხოვრებასთან ლიტერატურის კავშირი და მწერლური ოსტატობა, მოკლედ, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ლიტერატურულ პროცესს ვუწოდებთ, გაზეთის ფურცლებზე აისახება, როგორც ერთიანი განუყოფელი მთლიანობა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას ვესწრაფვით.

იმ შვიდ-რვა ათას წერილს შორის, რომლებსაც ყოველთვე ვლებულობთ, დაახლოებით ორი ათასი ანუ ყოველი მეოთხე — ეს არის გამოხმაურება ჩვენს გამოსვლაზე ან რეპლიკა კამათის გამო.

ჩვენ ყურადღებით ვეკიდებით თითოეულ ასეთ რეპლიკას და სისტემატურად ვუთმობთ გაზეთის ფურცლებზე ადგილს მკითხველთა წერილებს.

ქმედითობა — ეი საბოლოოდ რა განსაზღვრავს საგაზეთო მუშაობის არსს.

ვერ ვიტყვით, თითქოს სარედაქციო კოლეგიტივის მეცადინეობა შეუმჩნეველი დარჩენილიყოს მკითხველისათვის. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე „ლიტერატურნაია გაზეტას“ ტირაჟი 400.000-დან 2.700.000 ეგზემპლარამდე, ესე იგი 6-ჯერ და მეტად გაიზარდა. იმატა მკითხველთა ფოსტამაც. გაიზარდა გაზეთის საერთაშორისო რეზონანსი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებელი ა. მ. გორკი დაუცხრომლად ქადაგებდა ცხოვრებასთან ლიტერატურის მჭიდრო კავშირს, არასოდეს არ ანსხვავებდა ერთმანეთისგან „მწერლისა“ და „მოქალაქის“ ცნებებს და თავისი პირადი მაგალითით წარმოგვიდგებოდა როგორც ლიტერატორი — ლენინური, პარტიული სიმართლის ქადაგი, რომელიც პასუხს აგებს ყველაფრისათვის, რითაც სულდგმულობენ, რაც სწამთ და რისთვისაც იბრძვიან პარტია და ხალხი. ეს ჩვენი მუდმივი ორიენტირია.

ოპერა

„ტრავიატას“ ახალი სიცოცხლე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი

აი უკვე საუკუნეზე მეტია „ტრავიატა“ არ ჩამოდის მსოფლიოს საოპერო თეატრების სცენებიდან.

1853 წელს შექმნილმა და იმავე წელს ვენეციის „ფენიჩეს“ თეატრში დადგმულმა ამ ოპერამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ერთ-ერთი უპოპულარესი გახდა მსოფლიოს უმდიდრეს საოპერო ლიტერატურაში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მარტო 30-იანი წლებიდან „ტრავიატას“ ეს — სარეცენზიო — დადგმა მეოთხეა (უწინდელები შეიქმნა 1938, 1961 და 1975 წლებში).

რთული ამოცანაა დაწერო რეცენზია იმ ოპერის ახალი დადგმის გამო, რომელსაც ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი „ბიოგრაფია“ აქვს. მისი დადგმა დასრულება, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რთულია, და მაინც, თავს ნებას მივცემთ, გამოვთქვათ ჩვენი აზრი და გავიგიაროთ პირველი შთაბეჭდილებანი ამ დღეებში გამართული სპექტაკლის პრემიერის შესახებ.

სპექტაკლი, როგორც ცნობილია, საორკესტრო შესავლით დაიწყო. იგი სამწუხაროდ, დუნე ნიუანსებით შესრულდა და უნებურად შეგვეპარა შიში, რომ სპექტაკლი ემოციურად ეღიმოამო იქნებოდა.

მაგრამ ეს შიში მალე გაგვიქარწყლდა: გამოჩნდა ვიოლეტა — ლამარა ჭყონია, და სცენა, ორკესტრი თითქოს გარდაიქმნა, და ეს ტონუსი — ემოციურად დამუხტული — სპექტაკლს ბოლომდე — მის უკანასკნელ ნოტამდე, მიზანსცენამდე გაჰყვა.

ცნობილ მსახიობთა მიერ შექმნილ ვიოლეტას მრავალრიცხოვანი სახეებიდან ლამარა ჭყონიას მიერ შექმნილი, უდაოდ, ერთ-ერთი საყურადღებოა.

ვიოლეტას მუსიკალური სახე აღსავსეა ღაღრესად მრავალფეროვანი, ფაქიზი ნიუანსებით, რომლებიც ვერის სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას გადმოგვცემს. ლამარა ჭყონიას ხმა არა მარტო მღეროდა და გვაცნობდა პარტიის სიტყვიერ-მუსიკალურ შინაარსს, არამედ გრძნობით „გველაპარაკებოდა“ თავის განცდებზე.

ჩვენ სამუალება მოგვეცა დასწრებოდით ლამარა ჭყონიას პირველ გამოსვლას ვიოლეტას პარტიაში კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, და უკვე მაშინ აღინიშნა მსახიობის უდაო ნიჭი ვიოლეტას მუსიკალურ-სცენური სახის შექმნაში.

ოპერის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია ალფრედ ჟერმონი. ეს პარტია სრულფასოვან პროფესიულ დონეზე შეასრულა ი. კავსაძემ. მსახიობმა გულწრფელი და დამაჯერებელი სახე შექმნა.

მსახიობმა ე. გეწაძემ კვლავ გვიჩვენა ღრმა პროფესიული ოსტატობა ჟორჟ ჟერმონის — ალფრედის მამის პარტიის შესრულებაში.

„ტრავიატას“ პრემიერაში მონაწილეობდნენ მსახიობები: ჯ. მელაძე (გასტონი), ა. ჯავახიშვილი (ბარონი დიუფოლი), ლ. მაღნარაძე (ფლორა), ე. ციხკარაძე (მარკიზი დობინი), ზ. ბორავა (მსახური ანინა).

ორკესტრი ნამდვილ ქეიას იმსახურებს სიმწყობრისათვის, სცენაზე მიმდინარე ამბებისადმი აღლოიანობისათვის. ამაში, რა თქმა უნდა, დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა დირიჟორს, სპექტაკლის მუსიკალურ ხელმძღვანელს ი. ჭიაურელს. მისი დამოუკიდებელი საოპერო-სადირიჟორო შემოქმედების პირველი ნაბიჯებიდანვე იგრძნობა ნამდვილი შემოქმედებითი პერსპექტივა, რომლის განვითარებას გულით და სულით ვუსურვებთ მას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე ოპერის დადგმა, როგორიც „ტრავიატაა“, ძალიან რთული და შემოქმედებითად პასუხსაგები ამოცანაა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამდგმელმა რეჟისორმა ტ. ბუზბინდერმა გაამართლა იმედები. მთელი რიგი საინტერესო სცენური მიგნებანი დამაჯერებლად მოწმობს ამას (I მოქმედების ეპიზოდები, II მოქმედების დასაწყისი, IV მოქმედება — საკვდილის სცენა და სხვ.).

სპექტაკლის მხატვარია შ. ჩიქოვანი. დამაჯერებელი ლაკონიურობით გამოირჩევა მისი გაფორმება. შეიძლება იკამათო კოსტიუმების „ფერთა გამაზე“, მაგრამ თავისი მორთულ-მოკაზმულობით, სიახლეით გხიბლავს იგი.

ქმაყოფილება უნდა გამოვთქვათ გუნდის სიმღერის გამო (ქორმაისტერები — გ. ბუხრინიძე და ა. დანელიანი). თავისი შემადგენლობით მკირერიცხოვანი, მაგრამ საუცხოოდ შეთანხმებული, კარგად აწყობილი გუნდი დიდად უწყობს ხელს სპექტაკლის მაღალ მუსიკალურ დონეს.

მაყურებლებისათვის მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ ესპანური და ბოშური ცეკვების შესრულება. „ტრავიატას“ ჩვეულებრივ დადგმებში ცეკვები შუამჩნეველი რჩება ხოლმე. ამ სპექტაკლში კი ცეკვებმა, რომლებიც ი. ზარიკაძემ დადგა, დამოუკიდებელი ადგილი დაიკავა საინტერესო ქორეოგრაფიული ჩანაფიქრისა და კარგი შესრულების წყალობით (სოლისტები — გ. ლომიძე და ვ. ტერეხინი).

დასასრულ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ: ჯ. ვერდის ოპერის — „ტრავიატას“ პრემიერა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ადასტურებს თეატრის დიდ შემოქმედებითს შესაძლებლობებს, სადაც საოპერო სცენის ისეთ აღიარებულ მსახიობებთან ერთად, როგორიც სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონიაა. სცენურად ოსტატდებიან და დიდი ხელოვნების გზებზე გამოდიან ახალგაზრდა, დამწყები მომღერლები, დირიჟორები და რეჟისორები.

გორის პონომარენკო,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

სურათებზე: (მარცხნივ) ვიოლეტა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია; ალფრედი — მსახიობი ი. კავსაძე.

ს. კილაძის ფოტო.

„თბილისი“ საფრანგეთში

თბილისის სახელი უწოდეს ერთ-ერთ ბიდს საფრანგეთის ქალაქ ნანტში. ეს მოვლენა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა შეუფარდა დამმობილებულ ქალაქებს — ნანტს, თბილისსა და საარბრიუკენს შორის სამმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს. საფრანგეთში ხელმოწერილი დოკუმენტი კიულტურის, სპორტის დარგში კონტაქტების განვითარების შესახებ თავიანთი ხელმოწერით განამტკიცეს ნანტის მერმა ალენ შენარმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გურამ გაბუნიამ და საარბრიუკენის ობერ-ბურგომისტრმა ოსკარ ლაფონტენმა.

ამ დოკუმენტს პირველად ხელი მოაწერეს, როგორც ცნობილია, გასული წლის სექტემბერში ქალაქ საარბრიუკენში. განზრახულია, რომ შემოდგომაზე დამმობილებული ქალაქების წარმომადგენელნი ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში, რათა მესამედ მოაწერონ ხელი დოკუმენტს.

(საქინფორმი).

ᲮᲝᲙᲔᲘ

დარჩა ორი ტური

მოსკოვი გრძელდება ჰოკეისტთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალური ოთხეულის მეორე წრის პირველი მატჩის შედეგი ჯვითხველს უკვე გავაცანით (ჩეხოსლოვაკია-კანადა — 10:6). რაც შეეხება სსრ კავშირისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების შეხვედრას, საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ იმმავლობით ისპარეზეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 11:3. გთავაზობთ გათამაშების ცხრილს:

	მ	ფ	წ	შ	ქ
სსრ კავშირი	4	0	0	36-9	8
ჩეხოსლოვაკია	2	1	1	18-21	5
შვეიცარია	1	1	2	14-26	3
კანადა	0	0	4	12-24	0

გუნდებს ორ-ორი მატჩი დარჩათ გასამართავი და საბოლოოდ განაწილდება ადგილები. დარჩენილი შეხვედრების განრიგი ასეთია: **25 აპრილი.** ჩეხოსლოვაკია-შვეიცარია, კანადა-სსრ კავშირი; **27 აპრილი.** შვეიცარია-კანადა, სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია.

რეგბი

განახლდება 27 მაისს

ფერგანაში დამთავრდა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების XVI საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩები. ბოლო შეხვედრები ასე წარიმართა: მოსკოვის „სლავამ“ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და 15 ქულით გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე გამოვიდა. ამჯერად „სლავამ“ დაამარცხა მოსკოვის „ფილი“ — 10:3 (3:0). თბილისის „ლოკომოტივმა“ მოუგო თბილისის „ელვას“ ანგარიშით 14:9 (8:6). **თბილისელი რკინიგზელები 14 ქულით მეორე ადგილზე არიან.** დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ავიატორი“ (კიევი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 10:6 (4:6), „სახლმშენი“ (ქუთაისი)-„პოლიტექნიკი“ (კიევი) — 12:7 (6:3), ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი)-„პოლიტექნიკი“ (კრასნოიარსკი) — 48:3 (15:3).

მომდევნო ადგილებზე არიან: სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 13 ქულა, „ფილი“ და „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 11-11, „ავიატორი“ — 10, „პოლიტექნიკი“ (კიევი) — 9, „სახლმშენი“ — 7, „პოლიტექნიკი“ (კრასნოიარსკი) და „ელვა“ — 5-5 ქულა.

საკავშირო ჩემპიონატის მატჩები განახლდება 27 მაისს. ახლა გუნდებს მოელით მატჩები შინ და სტუმრად.

ᲬᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ

ახალი შევსება

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაამტკიცა 1979 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები. — ამჟამად ქვეყნის 866 ინსტიტუტში სწავლობს 5,1 მილიონი სტუდენტი, — თქვა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრმა ა. კრუპინმა. — წელს უმაღლესის სასწავლებლების დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღებენ მილიონზე მეტ კაცს. შეხარეხენებულია მიღების წესების ძირითადი დებულებები, მაგრამ მათში შეტანილია დამატებანი. შეიღავთები ეძლევათ სსრ კავშირის მილიონერაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკებს, რომლებსაც სასწავლებლად გზავნიან საწარმოება და სამშენებლო ორგანიზაციები. „გამსვლელი ქულის“ მოგროვების შემდეგ, ისინი იღებენ უფლებას სამუშაო სტაჟის მიუხედავად პირველ რიგში ჩაირიცხონ. მათ ჩვეულებრივზე თხუთმეტი პროცენტით მეტი ტატეენდია ეძლევათ.

დამტკიცებულია მისაღები გამოცდების პროგრამები. ისინი სრულყვეს და სრულად შეუსაბამეს სკოლის პროგრამებს.

(საკდესის კორ.).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პირველ ლიგაში

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ამჯერად სტუმრად — ლენინგრადში ითამაშა ადგილობრივ დინამოელებთან. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. ამ ტურის დანარჩენ მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: „ნისტრუ“-„სპარტაკი“ (ნალჩიკი) — 0:1, ასკ (ოდესა)-„ყუბანი“ — 3:1, „კარპატი“-„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 1:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)-„თერგი“ — 1:0, „შინიკი“-„პამირი“ — 3:0, „ფაკელი“-„ალგა“ — 2:0, „ყაზგორისი“-„კოლხოზჩი“ — 2:2, „ურალმაში“-„მეტალურგი“ — 2:1, „ზვეზდა“-„დნეპრი“ — 0:0, „კუზბასი“-„მეტალისტი“ — 1:0, „ტრაქტორი“-„ტავრია“ — 2:0.

ახლა „ყუბანისა“ და „კარპატის“ (6-6 შეხვედრა) გარდა ყველა გუნდს 7-7 მატჩი აქვს გამართული. ამჟამად ერთპიროვნულად ლიდერობს „შინიკი“ — 11 ქულა. **ქუთაისის „ტორპედო“ 10 ქულით მეორე ადგილზეა.** აღსანიშნავია ისიც, რომ „ტორპედომ“ ფრეთა ლომბიტს (12) მესამედი უკვე ამოწურა: ქუთაისელებმა ოთხი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. 9-9 ქულით III-VI ადგილებს იწყლებენ „დნეპრი“, „კარპატი“, „ურალმაში“ და „ტრაქტორი. „ყუბანს“ 8 ქულა აქვს.

ჭადრაკის დაფებთან

მონრეალში — დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის პირველი წრის ყველა ნათამაშევი პარტიის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს კარპოვი — 6,5 ქულა. ტალს და პორტიშს 6-6 ქულა აქვთ, ლუბოეკვიჩს — 5,5, ჰიუბნერს — 5, ტიმანს — 4,5, ჰორტს — 4, სპასკის 3,5, ლარსენს — 2,5, კავალეკს — 1,5 ქულა.

იუგოსლავიის ქალაქ ბანიალუკაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა მეათე ტურის პარტიები. ბაქოელმა მოსწავლემ გარი კასპაროვმა მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა იუგოსლავი მილან ვუკიჩი. ტურნირის კვლავ კასპაროვი ლიდერობს (8 ქულა და 1 გადადებული პარტია). მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტ. პეტროსიანს 6 ქულა აქვს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პირველ ლიგაში

ბაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ამჯერად სტუმრად — ლენინგრადში ითამაშა ადგილობრივ დინამოელებთან. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. ამ ტურის დანარჩენ მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: „ნისტრუ“-„სპარტაკი“ (ნალჩიკი) — 0:1, ასკ (ოდესა)-„ყუბანი“ — 3:1, „კარპატი“-„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 1:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)-„თერგი“ — 1:0, „შინიკი“-„პამირი“ — 3:0, „ფაკელი“-„ალგა“ — 2:0, „ყაზგორისი“-„კოლხოზჩი“ — 2:2, „ურალმაში“-„მეტალურგი“ — 2:1, „ზვეზდა“-„დნეპრი“ — 0:0, „კუზბასი“-„მეტალისტი“ — 1:0, „ტრაქტორი“-„ტავრია“ — 2:0.

ახლა „ყუბანისა“ და „კარპატის“ (6-6 შეხვედრა) გარდა ყველა გუნდს 7-7 მატჩი აქვს გამართული. ამჟამად ერთპიროვნულად ლიდერობს „შინიკი“ — 11 ქულა. **ქუთაისის „ტორპედო“ 10 ქულით მეორე ადგილზეა.** აღსანიშნავია ისიც, რომ „ტორპედომ“ ფრეთა ლომბიტს (12) მესამედი უკვე ამოწურა: ქუთაისელებმა ოთხი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. 9-9 ქულით III-VI ადგილებს იწყლებენ „დნეპრი“, „კარპატი“, „ურალმაში“ და „ტრაქტორი. „ყუბანს“ 8 ქულა აქვს.

ჭადრაკის დაფებთან

მონრეალში — დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის პირველი წრის ყველა ნათამაშევი პარტიის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს კარპოვი — 6,5 ქულა. ტალს და პორტიშს 6-6 ქულა აქვთ, ლუბოეკვიჩს — 5,5, ჰიუბნერს — 5, ტიმანს — 4,5, ჰორტს — 4, სპასკის 3,5, ლარსენს — 2,5, კავალეკს — 1,5 ქულა.

იუგოსლავიის ქალაქ ბანიალუკაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა მეათე ტურის პარტიები. ბაქოელმა მოსწავლემ გარი კასპაროვმა მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა იუგოსლავი მილან ვუკიჩი. ტურნირის კვლავ კასპაროვი ლიდერობს (8 ქულა და 1 გადადებული პარტია). მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტ. პეტროსიანს 6 ქულა აქვს.

დანაშაულობათა კვალდაკვალ

თაღლითი და დოყლაპიები

რაც არ გერგება, არ შეგერგებაო

ალბათ მრავალ თაღლითს გაოცებდა ის, რასაც ეს ორმოცდაათ წელს მიტანებული ქალი დოყლაპიების გაწსაცურებლად იგონებდა... მედეა შალვას ასული ჩხეიძე თაღლითობისათვის ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გასამართლეს და პირველად ციხის ცარი მაშინ შეაღო. ნათქვამია, არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო. ჰოდა, განთავისუფლების შემდეგაც არ მიუტოვებია ნაცადი გზა. ვერ იქნა და, ძველ ხელობაზე — თაღლითობაზე ხელი ვერ აიღებინეს. რამდენს არ ურჩევდნენ ნაცნობ-მეგობრები, თავი დაანებე სხვების მოტყუებასო, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი...

ყარგი მეძუძარივით დაუნოსავდა, თუ ვის რა უქირდა, ან რისი შეძენა უნდოდა და მ. ჩხეიძეც იმ თანამდებობის პირად მოევლინებოდა მორიგ მსხვერპლს, ვისაც რა საქმის გაკეთება შეეძლო — ხან უშიშროების პასუხისმგებელ მუშაკად გააცნობდა თავს, ხან გამომძიებლად, ხან დიდი ობიექტის ხელმძღვანელად... დოყლაპია კლიენტს თვითონ ახვევინებდა, რომ ამ ყოვლისშემძლე ქალს როგორშე „გასამრჯელო“ აეღო. და ქალბატონი მეფდაც დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ „იძულებული“ ხდებოდა ბრაყვებისაგან ათასები აეღო ბინის გაცემისა თუ ავტომანქანის ურიგოდ შეიძენისათვის. სარფიან სამსახურში მოწყობისათვის და ა. შ.

გაჭნილმა აფერისტმა ისიც კარგად იცოდა, ერთ ადგილზე, ერთ უბანში დიდხანს ცხოვრება რომ არ შეიძლებოდა. მართალია, მ. ჩხეიძე მუდმივ მცხოვრებად რუსთავში, საბჭოს ქუჩა № 28 სახლში იყო ჩაწერილი, მაგრამ ის შედარებით პატარა ქალაქი რას ეყოფოდა საასპარეზოდ და გულმა თბილისისაკენ გამოუწია, რადგან მილიონიან ქალაქში თაღლითობისათვის უფრო დიდი გასაქანი ექნებოდა.

დღეს თუ დიდუბეში ცხოვრობდა, ხვალ ვაკეში გადაბარგდებოდა, მერე ავლაბარში, ორთაჭალაში, საბურთალოში...

უკანასკნელად ბახტრიონის ქუჩაზე № 5 კორპუსში ბინა დაიქირავა და სწორედ აქ დასრულეს მისი „ოდისეა“ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა.

სხვადასხვა „სამსახურისათვის“ მან ვაჟა-ფშაველას პროსპექტის VI კვარტლის XIX კორპუსში მცხოვრებ ნინო გიორგის ასულ ბერიძისაგან თითქოსდა 3.300 მანეთი ისესხა, ამავე გზით დასტუფა 6 000 მანეთი ყარგარეთელის ქუჩა № 2-ში მცხოვრებ, საერთიპალის მეცხოველეობის კომპლექსური მეურნეობის ვეტექიმს ზურაბ ვასილის ძე ელეძეს, 1.500 მანეთი კი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექთანს მზია მოსეს ასულ ჩლაიძეს და კიდევ მრავალს, რომელთაც გამოძიება დააზუსტებს და დაადგენს. ასევე გამოსამზეურებელია მედეა ჩხეიძის უბის წიგნაკის სხვადასხვა ჩანაწერი, რომლებიც ამხელენ ხვა, ჯერ კიდევ დაუდგენელი პირებისაგან თაღლითური გზით დოდაძალი ფულის გამოძალვას.“

ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ თაღლითი ასე დიდხანს და „ნაყოფიერად“ ვერ იპარაშუნდა, ჩვენ შორის ჯერ კიდევ რომ არ ბოგინებდეს ამდენი დოყლაპია, რომლებსაც უკანონოდ, ოილი გზით ხურთ ამის ფილება, რაც არ უკუთვნით.

ბ. ბახტურიძე.

რედაქტორის მოადგილე
ბ. გოგიაშვილი.

თბილისის პ. ს. კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის და უსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია (რუსული და ქართული სექტორები), **სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია** (ქართული და რუსული სექტორები), **ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია** (ქართული სექტორი), **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** (ქართული და რუსული სექტორები), **ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა** (ქართული სექტორი), **გეოგრაფია** (ქართული სექტორი).

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

ისტორიის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი*), უცხო ენაში (ზეპირი);

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (ზეპირი);

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი);

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა*, ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი);

ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა*, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში (ზეპირი*), მათემატიკაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის ან წარჩინების დიპლომით საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ-ერთ საგანში, რომელიც აღინიშნული ვარსკვლავით, ამ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღებისას აბიტურიენტები თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან.

მისაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებული პირები სარგებლობენ სამუშაო ადგილიდან 15 კალენდარული დღის დამატებითი შვებულებით (ხელფასის შეუნარჩუნებლად).

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ უმაღლესში არრიეული სპეციალობით ან დამთავრებული აქვთ შესაბამისი საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ან არიან დემობილიზებულნი (ეს უკანასკნელნი ამ უფლებით სარგებლობენ დემობილიზაციიდან სამი წლის განმავლობაში).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შტატის შემცირების, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნამსახურობის შედეგად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილი ოფიცრები, პრაპორჩიკები, მიჩმახნები, ზეგადიანი სამხედრო მოსამსახურენი (მიუხედავად თადარიგში დათხოვნის ვადისა), რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სამხედრო განათლება ან დაუმთავრებელი უმაღლესი სამხედრო, ან სამოქალაქო განათლება (იმის მიუხედავად, თუ რომელ კურსზე სწავლობდნენ), ხოლო კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან იმ შემთხვევაში, თუ აქვთ საშუალო განათლება და გამოცდებზე მიიღებენ დადებითს შეფასებას.

მესამე კურსზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1939 წლის შემდეგ სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი. აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს მათთან გათანაბრებული სასწავლებლები, თუ მუშაობენ მასწავლებლად და სწავლის გაგრძელება სურთ შესაბამის სპეციალობაზე.

პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომელთა საშუალო შეესაბამება უმაღლესში არრიეულ სპეციალობას და აქვთ ამ ბაზაზე არანაკლებ